ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ზაალ მამალაძეს

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ"-ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი საერთო მოცულობაში შეადგენდა 10497,3 ათას ლარს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N 39 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3248,9 ათასი ლარი, 2015 წლის 10 ივლისის N 1504 და 2015 წლის 7 სექტემბრის N1881 განკარგულებებით აღნიშნულ განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილებები და შემცირდა 372,3 ათასი ლარით.

გარდა აღნიშნულისა უნდა გაიზარდოს ადგილობრივი შემოსავლების გეგმა კერძოდ: სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 315,0 ათასი ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტის მოცულობა გახდება 10440,0 ათასი ლარი.

ადგილობრივი შემოსავლების გაზრდის შედეგად მიღებული თანხა 315,0 ათასი ლარი აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა მიიმართოს შემდეგი დანიშნულებით:

- ა(ა)იპ კომუნალური სამსახური ,,სხივი"-ს სუბსიდირებაზე 40,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 44,0 ათასი ლარი;
- შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო"-ს სუბსიდირებაზე 24,4 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების სუბსიდირებაზე 20,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდირებაზე 15,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ კურორტი ,,ბახმაროს" სუბსიდირებაზე 6,6 ათასი ლარი;
- 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირების სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე 5,0 ათასი ლარი; (70 პირი);

დარჩენილი 160,0 ათასი ლარი მიიმართოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე.

ასევე აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა შემცირდეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სახელფასო ფონდი და საქონელი და მომსახურების თანხა 33,5 ათასი ლარით და მიიმართოს სოციალურ პროგრამებზე (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურებაზე და წითელი ჯვარის თანადაფინანსებაზე), აღნიშნული ცვლილებები განპირობებულია სახაზინო მოთხოვნებიდან გამომდინარე.

- თან წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 დანართებით.

პატივისცემით,

მუნიციპალიტეტის გამგებელი: **ირაკლი კუჭავა**